



დანართი №1

**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება
ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხულოს წმიდათა მამათა და დედათა აჭარაში
თურქთაგან წამებულითა სახელობის სკოლის

შეფასების თარიღ(ებ)ი
2023 წლის 20 და 21 მარტი

დასკვნის წარდგენის თარიღი
2023 წლის 31 მარტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა



I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
დაწესებულების სახელწოდება	ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხულოს წმიდათა მამათა და დედათა აჭარაში თურქთაგან წამებულთა სახელობის სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	არა სამეწარმეო (არა კომერციული) იურიდიული პირი
საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	448058271

ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს:

დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	კი
საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	კი
საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	კი
საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	არა
საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	არა

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ხულოს მუნიციპალიტეტი, დაბა ხულო
იურიდიული მისამართი	საქართველო, დაბა ხულო, დ. აღმაშენებლის N9
ფაქტობრივი მისამართი	საქართველო, დაბა ხულო, დ. აღმაშენებლის N9
საფოსტო ინდექსი	-
დაწესებულების ვებ-გვერდი	www.abuserisdze.ge
დაწესებულების ელ-ფოსტა	cmindamocametaskola@gmail.com

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

2

წ. კონსტანტინე



დაწესებულების ტელეფონის ნომერი/ფაქსი	593222369
ხელმძღვანელი/წარმომადგენელი (სახელი, გვარი)	ედიშერ ალელიშვილი
ტელეფონის ნომერი/ფაქსი	-
ელ-ფოსტა	-

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

საავტორიზაციო ვიზიტის საფუძველი	„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ხულოს წმიდათა მამათა და დედათა აჭარაში თურქთაგან წამებულთა სახელობის სკოლაში ვიზიტის შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2023 წლის 21 თებერვლის N 4 23 0000206664 ბრძანება.
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2023 წლის 20 და 21 მარტი
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე (სახელი, გვარი)	მიხეილ ტეფნაძე
წევრი (სახელი, გვარი)	ლიანა კობესაშვილი
წევრი (სახელი, გვარი)	
წევრი (სახელი, გვარი)	
წევრი (სახელი, გვარი)	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

3

წ. კონსტანტინიძე



IV. ვიზიტის შეჯამება

ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

სტანდარტი/ქვესტანდარტი		ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		მუხლი 6	☒	☐
1.1	სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	მუხლი 6 / პუნქტი ა)	☒	☐
1.2	სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	მუხლი 6 / პუნქტი ბ)	☒	☐
1.3	სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	მუხლი 6 / პუნქტი გ)	☒	☐
1.4	სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	მუხლი 6 / პუნქტი დ)	☒	☐
1.5	შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით	მუხლი 6 / პუნქტი ე)	☒	☐
1.6	შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	მუხლი 6 / პუნქტი ვ)	☒	☐
2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		მუხლი 7	☐	☒
2.1	დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	მუხლი 7 / პუნქტი ა)	☐	☒
2.1.1	ერთ მისამართზე 250. კვ. მ. ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 50 მოსწავლეზე ნაკლებგონტიგენტთან სკოლის ავტორიზაციის	მუხლი 7 / პუნქტი ა.ა)	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

4

წ. კონსტანტინე



	შესახებ. ფართზე უფლება უნდა დასტურდებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით			
2.1.2	საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	მუხლი 7/ პუნქტი ა.ბ)	☒	☐
2.1.3	სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	მუხლი 7 / პუნქტი ა.გ.)	☒	☐
2.1.4	სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	მუხლი 7 / პუნქტი ა.დ)	☒	☐
2.2.	სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	მუხლი 7 / პუნქტი ბ)	☒	☐
2.3	სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	მუხლი 7 / პუნქტი გ)	☒	☐
2.4	სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	მუხლი 7 / პუნქტი დ)	☒	☐
2.5	სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	მუხლი 7 / პუნქტი ე)	☒	☐
2.6	სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	მუხლი 7 / პუნქტი ვ)	☒	☐
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	მუხლი 7 / პუნქტი ვ. ა)	☒	☐
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	მუხლი 7 / პუნქტი ვ. ბ)	☒	☐
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	მუხლი 7 / პუნქტი ვ. გ)	☒	☐
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	მუხლი 7 / პუნქტი ვ. დ)	☒	☐
2.6.5	კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც	მუხლი 7 / პუნქტი ვ. ე)	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

5

წ. კონსტანტინიძე



	უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს			
2.7	სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	მუხლი 7/ პუნქტი ზ)	☒	☐
2.8	შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	მუხლი 7/ პუნქტი თ)	☒	☐
2.9	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა	მუხლი 7/ პუნქტი ი)	☒	☐
3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		მუხლი 8	☒	☐
3.1	სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	მუხლი 8 / პუნქტი ა)	☒	☐
3.2	სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	მუხლი 8 / პუნქტი ბ)	☒	☐
3.3	სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	მუხლი 8 / პუნქტი გ)	☒	☐
3.4	მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	მუხლი 8/ პუნქტი დ)	☒	☐
3.5	სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	მუხლი 8/ პუნქტი ე)	☒	☐
3.6	სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო	მუხლი 8/ პუნქტი ვ)	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

6

წ. კონსტანტინე



საზოგადოების შესაძლებლობათა პასუხისმგებლობის გადანაწილებას	თითოეული მაქსიმუმის გამოვლენას,	წევრის გამოვლენას,			
--	---------------------------------------	-----------------------	--	--	--

V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი (სტანდარტთან შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	საგანმანათლებლო პროგრამები	ხარვეზი
ქვესტანდარტი	1.1.	
	1.2.	
სტანდარტი	მატერიალური რესურსი	
ქვესტანდარტი	2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის: ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი.	დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა თვითშეფასებაში მითითებული ფართის ფლობის დოკუმენტი.
სტანდარტი	ადამიანური რესურსი	
ქვესტანდარტი	3.1.	

VI. რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა რეკომენდაცია, რომლებიც მიეცა დაწესებულებას სტანდარტებთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ქვესტანდარტის მითითებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა





სტანდარტი	საგანმანათლებლო პროგრამები	რეკომენდაცია
ქვესტანდარტი	1.1.	
	1.2.	
სტანდარტი	მატერიალური რესურსი	
ქვესტანდარტი	2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულებას მისცა რეკომენდაცია სრულად შეივსოს ვებ გვერდის შემადგენელ განყოფილებები შესაბამისი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექსტებით/დოკუმენტებით.
	2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	დაწესებულებას ჰყავს ექთანი. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, სამედიცინო დახმარების აღმოჩენის ადამიანურ რესურსად შეარჩიონ „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის N41/5/01-23/6 ერთობლივ ბრძანებასთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

8

წ. კონსტანტინე



სტანდარტი	ადამიანური რესურსი	
ქვესტანდარტი	3.1.	

VII. დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი	
------------------------------	--

დაწესებულების მისია	შეიქმნას კეთილგანწყობილი ურთიერთპატივისცემისა და ურთიერთსიყვარულის მომცველი გარემო პირობები, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნითა და უნარებით აღჭურვილი მომავალი თაობის აღზრდისათვის, რომელსაც შეეძლება თავისი ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და მომავლის წინაშე საკუთარი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გააზრება. ხელი შეუწყოს სკოლის განვითარების ორიენტირებას სწავლის/სწავლების ხარისხის ასამაღლებლად.
---------------------	--

VIII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების აღწერა	
---	--

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა



IX. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 250	ექსპერტი ეთანხმება	აღწერა (იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)
	ექსპერტი არ ეთანხმება	დაწესებულებას ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტისას, წარმოდგენილი დოკუმენტითა და ვიზუალური დათვალიერების მიხედვით ჰქონდა 16 ერთადგილიანი, 127 ორადგილიანი და 206 ინდივიდუალური სკამი. არსებული მერხებისა და სკამების მიხედვით, ექსპერტთა პოზიციას რომ სკოლას მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა უნდა განესაზღვროს 143 მოსწავლით.

X. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები:

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულებამ წარმოადგინა „ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხულოს წმიდათა მამათა და დედათა აჭარაში თურქთაგან წამებულთა სახელობის სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2023 წლის 11 იანვრის N02-01 ბრძანებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

10



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი დაწესებულების დირექტორთან გასაუბრებისას შეეხო დაწესებულების სახელწოდებას. დირექტორის განმარტებით დაწესებულების დასახელება შეირჩა ფაქტიდან გამომდინარე და დაწერილია მართლმადიდებლური ხატიც. ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების ადმინისტრაციას მისცა რჩევა, რომ კიდევ ერთხელ განეხილათ დაწესებულების სახელწოდების ნაწილი, კერძოდ, სიტყვათა წყობა „თურქთაგან წამებულითა სახელობის სკოლა“ მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების, საჭიროებებისა და კარიერული (სწავლების შემდეგ საფეხურზე გაგრძელების) წინსვლის კუთხით.

სასკოლო სასწავლო გეგმა შემუშავებულია სკოლის დირექციის მიერ და განხილულია მასწავლებელთა საერთო შეხვედრაზე.

სასკოლო სასწავლო გეგმა მოიცავს:

- სკოლის მისიას;
- კალენდარს;
- მოწავლეთა მაქსიმალურ რაოდენობას;
- დღის რეჟიმს;
- დღის რეჟიმს დისტანციური სწავლების დროს (საჭიროების შემთხვევაში);
- სასკოლო საათობრივ ბადეს და შემაჯამებელი დავალებების რაოდენობას;
- ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებულ მომსახურებას და აღწერილობას;
- გრიფირებულ სასკოლო სახელმძღვანელოების ჩამონათვალს;
- მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების შეფასების წესს;
- მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების შესახებ მშობელთა ინფორმირები წესს;
- ინკლუზიური განათლების პროგრამას;
- საადმინისტრაციო პროგრამას;
- საგნობრივი კათედრების პროგრამას;
- სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის პროგრამას;
- სასკოლო სასწავლო გეგმის საზოგადოებისათვის გაცნობის წესს.

დაწესებულებისთვის მოსწავლე სწავლის სუბიექტია და სწავლა ცოდნის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

11

წ. კონსტანტინე



	კონსტრუირების პროცესია. კლასში მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვრება 20 მოსწავლით. გაკვეთილის ხანგრძლივობა პირველ კლასში 35 წთ-ია, მეორე კლასში - 40 წთ და დანარჩენ კლასებში - 45 წთ. საათობრივი ბადე ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საათობრივი ბადის ანალოგიურია. განსაზღვრულია შემაჯამებელ დავალებათა რაოდენობა კლასებისა და საგნების მიხედვით. ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურებაა ჭადრაკი III - IV კლასებში. დაწესებულებას განსაზღვრული აქვს შესთავაზოს მოწავლეებს ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებული საგანმანათლებლო მომსახურება: • მხატვრული კითხვის წრე (I-VI კლასი); • ეთნოგრაფიული ფოლკლორული წრე (VII-XII) კლასი; • ლიტერატურული შემოქმედებითი წრე (I-XII) კლასი საფეხურეობრივი სექციებით; • ფიზიკა-მათემატიკის მოყვარულთა წრე (VII-XII) საფეხურეობრივი სექციებით; • პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის გაკვეთილები (IX და XII კლასი); • კალათბურთის წრე (X-XI კლასი); • გახანგრძლივებული დღის ჯგუფი I-IV კლასის მოსწავლეებისათვის. მოცემულია ჩამოთვლილი საგნების აღწერილობა. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია გრიფირებული სახელმძღვანელოების ჩამონათვალი, შემაჯამებელი დავალებების აღდგენის და საშემოდგომო გამოცდის ჩატარების წესები. დაწესებულება ზრუნავს, რომ სასკოლო სასწავლო გეგმა იყოს საზოგადოებისათვის ცნობილი და გაზიარებული, რისთვისაც გეგმავს: სასკოლო სასწავლო გეგმის განხილვას საგნობრივ კათედრებზე გაერთიანებულ მასწავლებლებსა და მომავალ მშობლებთან, მათგან წამოსული უკუკავშირის საფუძველზე სასკოლო სასწავლო გეგმის
--	--

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

12

წ. კონსტანტინე



	საბოლოო ვარიანტის შემუშავებას და შემდგომ ამისა მის პედაგოგიურ საბჭოზე განხილვას. სასკოლო სასწავლო გეგმის განთავსებას სკოლის ვებგვერდზე მისი საჯაროობის უზრუნველსაყოფად. წარმოდგენილი დოკუმენტი შემადგენელი კომპონენტებითა და შინაარსით შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას და გამომდინარეობს სკოლის მისიიდან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• „ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხულოს წმიდათა მამათა და დედათა აჭარაში თურქთაგან წამებულთა სახელობის სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ სკოლის დირექტორის 2023 წლის 11 იანვრის N02-01 ბრძანება; • დაწესებულების მასწავლებლებთან გასაუბრება; • დაწესებულების დირექციასთან გასაუბრება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულება გეგმავს შექმნას 7 საგნობრივი კათედრა: 1. ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა; 2. მათემატიკისა და ტექნოლოგიების კათედრა; 3. უცხო ენების კათედრა; 4. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრა; 5. საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრა; 6. დაწყებითი კლასების კათედრა; 7. ესთეტიკური აღზრდისა და სპორტის კათედრა. დადგენილი აქვს კათედრის მოწყობის და კათედრის თავჯდომარის არჩევის წესი. კათედრის მუშაობის განმსაზღვრელია თანამშრომლობა კათედრის შიგნით და კათედრებს შორის. მოსწავლეთა საჭიროებების გამოვლენა და ზრუნვა მათ დაკმაყოფილებაზე. კათედრის შიგნით თანამშრომლობის გზით კათედრის წევრთა გამოცდილების გაზიარება და ურთიერთსწავლების ხელშეწყობა სწავლა/სწავლების პროცესის სრულყოფისათვის, სიახლეების მიება და გაზიარება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

13


 წ. კონსტანტინიძე



	საგანმანათლებლო რესურსების (მატერიალური, ელექტრონული) მოძიება და თანამშრომლობა ბიბლიოთეკასთან, ზრუნვა მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე. კათედრების ფუნქციებში ასევე შედის: რეკომენდაციების შემუშავება მოსწავლეთა შეფასების მიდგომებისა და ფორმების დანერგვასთან დაკავშირებით, შეფასების მეთოდებისა და ფორმების საგნების მიხედვით დამუშავება, შერჩევა და გამოყენება, მუშაობა კომპლექსური დავალებების პირობებზე, მათ დანერგვასა და შეფასებაზე, სწავლებისა და სწავლის ეფექტური მეთოდების, წარმატებული შედეგების შეფასება და გამოცდილების კვირეულის ჩატარება, შემაჯამებელი დავალებების მონიტორინგი და შემაჯამებელი დავალებების ანალიზის შედეგების გამოყენება მოსწავლეთა სასწავლო შედეგების გაუმჯობესებისათვის. კათედრების მუშაობა შეფასდება მათი შემაჯამებელი ანგარიშებით პედსაბჭოზე. იგეგმება ასევე კათედრების გაერთიანებული შეხვედრა სამომავლო განვითარების ხედვის შესამუშავებლად/დასაგეგმად. დაწესებულებამ წარმოადგინა საგნების მიხედვით შემუშავებული კომპლექსური დავალებები და რიგ შემთხვევაში მატრიცები, რომელსაც გეგმავს, რომ სწავლის პროცესში მოსწავლეთა საჭიროებისა და მოთხოვნილების შესაბამისად დახვეწოს და გადაამუშაოს. დაწესებულებას შემუშავებული აქვს საადმინისტრაციო პროგრამა. საადმინისტრაციო საქმიანობა ემსახურება სკოლის მისიის მიღწევის ხელშეწყობას. მისი მიზანია შექმნას კეთილგანწყობილი, ურთიერთპატივისცემისა და ურთიერთსიყვარულის მომცველი გარემო მომავალი თაობის გაზრდისათვის, რომელიც შეძლებს თავისი ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და მომავლის წინაშე საკუთარი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გააზრებას, იქნება თავისი სამშობლოს მოყვარული და ერთგული, საკუთარ შესაძლებლობებს გამოიყენებს მაღალი ზნეობრივი და სულიერი ღირებულებების დასამკვიდრებლად. დაწესებულებას განსაზღვრული აქვს სადამრიგებლო საათის საორიენტაციო თემატიკა რომელიც ემსახურება: • მოქალაქეობრივ-პატრიოტული ცნობიერების ამაღლებას; • ცხოვრების ჯანსაღი წესი პოპულარიზაციას;
--	---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

14




	• გარემოსდაცვის კულტურის განვითარებას; • თვალსაწიერის გაფართოებას; • ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირებას; • წიგნიერების კომპეტენციის განვითარებას (I-IV კლასებში). სადამრიგებლო საათის ფარგლებში დაწესებულება გეგმავს იმუშაოს მოსწავლეებში პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის ნაწილშიც (IX-XII კლასები) როგორც კათედრების ნაწილში დაგეგმილი სამუშაოები, მასწავლებელთა კომპეტენცია (რაც გამოიხატა მათთან გასაუბრებისას), ასევე, სადამრიგებლო პროგრამა ტოვებს განცდას, რომ დაწესებულება ხელს შეუწყობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნების დაკმაყოფილებას და მისცემს საშუალებას მოსწავლეებს შეიძინონ შესაბამისი ცოდნა და უნარები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• „ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხულოს წმიდათა მამათა და დედათა აჭარაში თურქთაგან წამებულთა სახელობის სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ სკოლის დირექტორის 2023 წლის 11 იანვრის N02-01 ბრძანება; • „ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხულოს წმიდათა მამათა და დედათა აჭარაში თურქთაგან წამებულთა სახელობის სკოლის საგნობრივი კათედრების შექმნისა და შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ სკოლის დირექტორის 2023 წლის 16 ნოემბრის N02-07 ბრძანება; • „ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხულოს წმიდათა მამათა და დედათა აჭარაში თურქთაგან წამებულთა სახელობის მოსწავლეებისათვის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული/გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და საადმინისტრაციო უფასო მომსახურების გაწევის მიზნით წრეების შექმნისა და წრის ხელმძღვანელთა დანიშვნის შესახებ“ სკოლის დირექტორის 2023 წლის 16 ნოემბრის N02-07 ბრძანება; • საგნობრივი მატრიცების ნიმუშები; • დაწესებულების მასწავლებლებთან გასაუბრება; • დაწესებულების დირექციასთან გასაუბრება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

15



1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	მასწავლებლებთან ინტერვიუებისას დადგინდა, რომ ისინი მზად არიან მოსწავლეებს შესთავაზონ მრავალფეროვანი სასწავლო აქტივობები, მათ შორის პროექტები და კვლევები, რათა შეუქმნან მოსწავლეებს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობები. სასკოლო სასწავლო გეგმით დაწესებულებას განსაზღვრული აქვს ინკლუზიური განათლების პროგრამა, სადაც განმარტებულია ისგ ჯგუფის შექმნის, სსსმ მოსწავლის შეფასების, დასწრებისა და გაცდენების აღრიცხვის, სსსმ მოსწავლის შინ სწავლების პროცედურები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• „ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხულოს წმიდათა მამათა და დედათა აჭარაში თურქთაგან წამებულთა სახელობის სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ სკოლის დირექტორის 2023 წლის 11 იანვრის N02-01 ბრძანება; • საგნობრივი მატრიცების ნიმუშები; • დაწესებულების მასწავლებლებთან გასაუბრება; • დაწესებულების დირექციასთან გასაუბრება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სასკოლო სასწავლო გეგმაში დაწესებულებას განსაზღვრული აქვს მოსწავლის შეფასების სისტემა, რომლიც ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისია. მოსწავლე ფასდება 3 კომპონენტის მიხედვით 5 დონიანი სისტემით. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა, მათი ჩატარებისა და აღდგენის წესი, საშემოდგომო და სემესტრული გამოცდის ჩატარების წესი და პირობები. მასწავლებლები ინტერვიუებისას აღნიშნავენ შეფასების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

16




	კრიტერიუმების მნიშვნელობას სწავლა-სწავლების პროცესში და ამბობენ, რომ მნიშვნელოვანი იქნება მათი შემუშავება მოსწავლეების ჩართულობით. წარმოდგენილი შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	„ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხულოს წმიდათა მამათა და დედათა აჭარაში თურქთაგან წამებულთა სახელობის სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ სკოლის დირექტორის 2023 წლის 11 იანვრის N02-01 ბრძანება; - დაწესებულების მასწავლებლებთან გასაუბრება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულებას სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული აქვს მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი, რომლის მიხედვითაც სასწავლო წლის დასაწყისში საკლასო კრებაზე ყველა კლასის მშობელს მიეწოდება ინფორმაცია სასწავლო საგნებში მისაღწევი შედეგების და შეფასების მეთოდების შესახებ. მშობლებთან საკომუნიკაციოდ სკოლა გეგმავს გამოიყენოს ელექტრონული ჟურნალი, პირადი და სატელეფონო კომუნიკაცია, ელფოსტა. მშობლებს სკოლაში სტუმრობა შეუძლიათ 15:00 საათიდან, აუცილებლობის შემთხვევაში კი ნებისმიერ დროს. სკოლას ერთ-ერთ შენობაში გამოყოფილი აქვს ოთახი მშობლებთან შეხვედრისათვის. გეგმავს მშობელთან ხშირ კომუნიკაციას და მშობლებისაგან მიღებული უკუკავშირის ყურადღებით განხილვას. მშობელთა სასკოლო ცხოვრებაში აქტიურად მონაწილეობის მიზნით დაწესებულება გეგმავს მათ ჩართვას საკლასო და სასკოლო ღონისძიებებში, საქველმოქმედო სადამოების მოწყობაში, სპექტაკლების მომზადებაში, კითხვის დღის ორგანიზებაში. მშობლებთან ერთად სკოლის გადაწყვეტილებების განხილვას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	„ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხულოს წმიდათა მამათა და დედათა აჭარაში თურქთაგან წამებულთა სახელობის სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ სკოლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

17



	დირექტორის 2023 წლის 11 იანვრის N02-01 ბრძანება; • დაწესებულების ადმინისტრაციასთან გასაუბრება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულებამ წარმოადგინა სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასების მექანიზმი. სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებაზე პასუხისმგებელ პირებად განაზღვრულია სკოლის დირექტორი და ხარისხის მართვის ჯგუფი. შეფასების საგანს წარმოადგენს სასწავლო პროცესი და სასწავლო გარემო. მექანიზმი აწყობილია დემინგის ციკლზე. შეფასება ეყრდნობა არსებული ვითარების ანალიზს და ემსახურება გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნების განსაზღვრას. შეფასების ინსტრუმენტებად გამოიყენება: თვითშეფასება, რეკომენდაცია, ანგარიში, რჩევა, კომენტარი, უკუკავშირი. განვითარების დაგეგმვის პროცესში ჩართვის უფლება აქვს ყველა მსურველს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• „ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხულოს წმიდათა მამათა და დედათა აჭარაში თურქთაგან წამებულთა სახელობის სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ სკოლის დირექტორის 2023 წლის 11 იანვრის N02-01 ბრძანება; • „ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს ხულოს წმიდათა მამათა და დედათა აჭარაში თურქთაგან წამებულთა სახელობის სკოლის ხარისხის მართვის ჯგუფის დამტკიცების შესახებ“ სკოლის დირექტორის 2023 წლის 24 თებერვლის N02-14 ბრძანება; • დაწესებულების ადმინისტრაციასთან გასაუბრება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები:	ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი დაწესებულების დირექტორთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

18

წ. კონსტანტინე



	გასაუბრებისას შეეხო დაწესებულების სახელწოდებას. დირექტორის განმარტებით დაწესებულების დასახელება შეირჩა ფაქტიდან გამომდინარე და დაწერილია მართლმადიდებლური ხატიც. ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების ადმინისტრაციას მისცა რჩევა, რომ კიდევ ერთხელ განეხილათ დაწესებულების სახელწოდების ნაწილი, კერძოდ, სიტყვათა წყობა „თურქთაგან წამებულთა სკოლა“ მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების, საჭიროებებისა და კარიერული (სწავლების შემდეგ საფეხურზე გაგრძელების) წინსვლის კუთხით.
ხარვეზები:	ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	
ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი:	
დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხულოს წმიდათა მამათა და დედათა აჭარაში თურქთაგან წამებულთა სახელობის სკოლა დაწესებულების მიერ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოდგენილი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მამიებლის თვითშეფასების კითხვარის, საკადასტრო რუკით, შენობა-ნაგებობების შიდა აზომვითი ნახაზითა და ვიზუალური დათვალიერების მიხედვით, მდებარეობს დაბა ხულოში, დავით აღმაშენებლის ქ. N9-ში მდებარე 10080.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე და განთავსებულია 3270.45 კვ.მ.-ის ფართის შენობა-ნაგებობებში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

19



	მიწის ფართობი შემოღობილია, რომელზეც დგას: 1) სამსართულიანი, 2) ორსართულიანი, 3) ერთსართულიანი შენობა-ნაგებობები და ტაძარი. ზემოაღნიშნული შენობებიდან: 1) სამსართულიანი შენობა-ნაგებობა სრულად დაეთმოზა ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას; 2) ორსართულიანი შენობა-ნაგებობის პირველი სართულის ერთი ფლიგელი დათმობილია საბავშვო ბაღისთვის, მეორე ფლიგელში სასულიერო პირების რეზიდენციაა. ამავე შენობის მეორე სართულის ერთი ფლიგელი დაეთმოზა ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამას, მეორე ფლიგელში კი განთავსებულია საპატრიარქო რეზიდენცია. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის მოსწავლეებს, საბავშვო ბაღის აღსაზრდელებსა და რეზიდენციით მოსარგებლე პირებს ექნებათ პირველი სართულიდან ერთი შესასვლელი, ხოლო რეზიდენციით მოსარგებლე პირებს შეეძლება, მეორე სართულზე ასვლა ამავე ფლიგელში მოქცეული კიბის უჯრედით. სკოლის მოსწავლეები მეორე სართულზე ასასვლელად ისარგებლებენ მთავარ შემოსასვლელში არსებული კიბის უჯრედით. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტისას, დაწესებულების დირექციამ წარმოადგინა სხალთის ეპარქიის მმართველის, მთავარეპისკოპოსის ბრძანება სხალთის ეპარქიისადმი ოსართულიანი შენობის ფართის გამოიყენების შესახებ, რომლის მიხედვითაც აღნიშნული შენობის მეორე სართულის ერთი ფლიგელი ფართით 383.8 კვ.მ. დაეთმოზა დაწყებითი საფეხურის პროგრამას. მოსწავლეები ისარგებლებენ შენობის მთავარი შემოსასვლელითა და კიბეებით. საბავშვო ბაღი და რეზიდენციით მოსარგებლე პირები, ისარგებლებენ ცალკე შემოსასვლელითა და კიბის მეორე უჯრედით. 3) ერთსართულიანი შენობა-ნაგებობა გათბობის სისტემის ბოილერია, რომლისთვისაც გამოიყენება შეშა და დგას სასწავლო მიზნებისათვის განკუთვნილი შენობებიდან მოშორებით. სამსართულიანი შენობა-ნაგებობის ნულოვან სართულზე მოწყობილია სპორტული დარბაზი; პირველ სართულზე მშობლებთან შეხვედრის
--	---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

20

წ. კონსტანტინე



	ოთახი, სამედიცინო კაბინეტი, 7 სველი წერტილი (4 გოგონებისთვის, 3 ვაჟებისთვის), მუსიკის ოთახი, სათავსო და გასახდელი ვაჟებისთვის. მეორე სართულზე მოწყობილია 4 საკლასო ოთახი, გასახდელი გოგონებისთვის, სამასწავლებლო, კათედრების სამუშაო ოთახი, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ოთახი, ბიბლიოთეკა, წიგნების საცავი, დირექტორისა და სასწავლო ნაწილის გამგის 1 ოთახი. მესამე სართულზე მოწყობილია 4 საკლასო ოთახი, ინგლისური ენის კაბინეტი, წიგნების საწყობი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, ლაბორატორიის ინვენტარის საცავი და ცეკვის ოთახი. აღნიშნულ შენობა-ნაგებობას, მესამე სართულის ერთი ფლიგელის ჭერის ნაწილი, დახლოებით 4 კვ.მ. ჭერის ფართობი დიდთოვლობის გამო დაზიანებულია/ ჩამონგრეულია და დამონტაჟებულია დროებითი კონსტრუქცია. სკოლის ადმინისტრაციის განმარტებით, აღნიშნული კონსტრუქცია დროებითია და ზაფხულში განხორციელდება მისი სრული რეაბილიტაცია. ორსართულიან შენობა-ნაგებობის მეორე სართულზე განთავსებულია 4 საკლასო ოთახი, 4 სველი წერტილი (2 გოგონებისთვის, 2 ვაჟებისთვის), კანცელარია, ბუღალტერია, დაწყებითი საფეხურის სამასწავლებლო, სპეციალური საგანმანათლებლო მოსწავლისთვის განკუთვნილი რესურს-ოთახი, 2 საცხოვრებელი ოთახი, იმ მასწავლებლებისთვის, რომლებიც დიდთოვლობის გამო ვერ მოახერხებენ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნებას და სათავსო. შენობა-ნაგებობები ტოვებს საგანმანათლებლო დაწესებულების შთაბეჭდილებას. დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა რაიმე სახით ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი.
ფაქტობრივი მისამართი	ხულოს მუნიციპალიტეტი, დაბა ხულო, დავითა აღმაშენებლის ქ. N9.
მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი	23.06.38.737
კვ.მ.	მიწის ნაკვეთი 10080.00 კვ.მ. შენობა-ნაგებობები 3270.45 კვ.მ.-ის
მტკიცებულებები/ინდიკატორები	დაწესებულების თვითშეფასება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

21



	• საკადასტრო რუკა და შიდა აზომვითი ნახაზი; • სხალთი ეპარქიის მმართველის, მთავარეპისკოპოს სპირიდონის 2023 წლის 20 მარტის ბრძანება სხალთის ეპარქიისადმი; • ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება	☐ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☒ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სასწავლო მიზნებისათვის განკუთვნილ ორივე შენობა-ნაგებობაში მოწყობილია 13 საკლასო ოთახი. საკლასო ოთახებში უმეტესად დგას ორადგილიანი საკლასო მერხები და ინდივიდუალური სკამები. ვიზუალური დათვალიერებითა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით სკოლას აქვს 127 ორადგილიანი და 16 ერთადგილიანი მერხი. 206 ინდივიდუალური სკამი. განთავსებულია დაფები, მასწავლებლის მაგიდეები და სხვადასხვა საგანმანათლებლო თვალსაჩინოებები. სკოლის ადმინისტრაციის განმარტებით, სკოლა უახლოეს მომავალში გეგმავს ერთადგილიანი მერხების შემოტანას სკოლაში.
